საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030170371608921

№ 01-490/ო **17 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ფარგლებს გარეთ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი პირების ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვის მიზნით დაწესებულებების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესის, ფორმისა და რეკვიზიტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის N01-93/ნ ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის მე-7 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. Georgia e-Health მობილურ აპლიკაციაში ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესის, ფორმისა და რეკვიზიტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის N01-93/ნ ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების შესახებ ინფორმაციის, ამავე ბრძანებით განსაზღვრული წესით მონაცემთა ბაზაში ასახვა, უზრუნველყონ შემდეგმა სამედიცინო დაწესებულებებმა:

ა) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ (თბილისი, რუხი) - ს/კ 205165453;

ბ) შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ - ს/კ 245428880;

გ) შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ო. ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება) - ს/კ 236035517;

დ) შპს „Exspress Medical Service” - ს/კ 404964213;

ე) შპს ,,ვივამედი“ - ს/კ 404879663.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტომ, უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებებისთვის შესაბამისი მომხმარებლების გააქტიურება, რეგისტრაციის განხორციელების მიზნით.

3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე სამინისტროში და/ან სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირებული განცხადებების განხილვა და ამავე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვის უზრუნველყოფა

დადგენილი წესით განახორციელოს ცენტრმა, ამავე განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით/საფუძველზე.

4. პირველი პუნქტით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებებისათვის ამ ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს ცენტრმა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ეკატერინე ტიკარაძე